## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-09-10/161

ქ. თბილისი 27 08 2018წ.

### სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს №772/ი ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N 204 დადგენილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა,

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.students.eqe.ge) რეგისტრაციის შემდეგ) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის პირველი სექტემბრიდან 7 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე (ყოველ დღე შაბათ-კვირის ჩათვლით. მისამართზე: თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი N 264);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2018 წლის 14 სექტემბრისა;
5. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2018 წლის 19 სექტემბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

*დანართი 1*

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (მაგისტრანტმა ბაკალავრის დიპლომის) ასლი;
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

(დანართი №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი _______________ ლ. კლიმიაშვილი

## დასკვნა

## სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | |
| სტუდენტის პირადი ნომერი: | |
| განათლების საფეხური: | ❑ ბაკალავრიატი |

| ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ: | |
|---|---|
| გამომშვები უსდ-ს დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |

| ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ: | |
|---|---|
| მიმღები ფაკულტეტის დასახელება: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

| სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი: |
|---|

| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | | შედარება | სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ: | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |

**დასკვნა:**

❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

**შენიშვნა**

______________________________

______________________________

______________________________

| | |
|---|---|
| ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |

| ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
| | | |
| | | |
| | სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: | |

სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

_______________ _______________

ი.ლომიძე ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

_______________ _______________

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

_______________ _______________

ხელმოწერა